



S K Y G R O U P


შპს სკაი გრუპ
ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

2021

სრული შემოსავლების ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2021 ლარი	2020 ლარი	2019 ლარი
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	7,168,917	4,514,880	6,161,013
არასაოპერაციო შემოსავალი	23,593	874,988	34,630
სულ შემოსავალი	7,192,510	5,389,868	6,195,643
დასაქმებულთა ანაზღაურება	4,273,900	3,580,201	3,572,480
იჯარის ხარჯი	232,997	188,642	268,862
საკონსულტაციო ხარჯი	101,287	32,549	28,954
ცვების და ამორტიზაციის ხარჯები	132,436	106,792	64,427
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2,281,603	1,624,730	1,818,676
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	154,533	394,382	989
სულ ხარჯი	7,176,756	5,927,296	5,754,388
მოგება დაბეგვრამდე	15,754	(537,428)	441,255
მოგების გადასახადი	82,123		-
წმინდა მოგება	(66,369)	(537,428)	441,255
სხვა სრული შემოსავალი			-
მთლიანი სრული შემოსავალი	(66,369)	(537,428)	441,255

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.




ფინანსური მდგომარეობა

2021	2020	2019
ლარი	ლარი	ლარი

აქტივები

მიმდინარე აქტივები

ფული და ფულის ეკვივალენტები	475,509	1,162,188	927,891
სავაჭრო მოთხოვნები	203,333	557,043	1,504,019
გადახდილი ავანსები	284,947	90,409	107,788
სასესხო მოთხოვნები	-	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	434,195	159,166	343,988
სულ მიმდინარე აქტივები	1,397,984	1,968,806	2,883,686

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები	220,211	237,634	203,252
არამატერიალური აქტივები	58,648	7,189	-
სულ გრძელვადიანი აქტივები	278,859	244,823	203,252

სულ აქტივები

1,676,843	2,213,629	3,086,938
-----------	-----------	-----------

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	67,374	79,388	102,813
საგადასახადო ვალდებულებები	-	-	-
სხვა ვალდებულებები	57,234	-	174
სულ ვალდებულებები	124,608	79,388	102,987

საკუთარი კაპიტალი

კაპიტალი	-	65,272	409,264
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	1,552,235	2,068,969	2,574,687
სულ საკუთარი კაპიტალი	1,552,235	2,134,241	2,983,951

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	1,676,843	2,213,629	3,086,938
---	------------------	------------------	------------------

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



ფულადი სახსრების მოძრაობა

	2021	2020	2019
მოგება	170,287.00	(815,689.00)	442,244.00
დებიტორების ცვლილება	353,710.00	946,976.00	515,226.00
ავანსების ცვლილება	(194,538.00)	17,379.00	190,086.00
სხვა აქტივების ცვლილება	(251,170.00)	(17,145.00)	(142,021.00)
მიმდინარე სხვა აქტივების ცვლილება	(23,859.00)	199,028.00	(140,233.00)
არამატ. აქტივების ცვლილება	(51,459.00)	(4,250.00)	133.00
კრედიტორების ცვლილება	(12,014.00)	(23,425.00)	(15,650.00)
სხვა ვალდებულებების ცვლილება	57,234.00	(174.00)	174.00
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	48,191.00	302,700.00	849,959.00
საინვესტიციო საქმიანობა		-	-
ძირით. საშუალებების ცვლილება	17,423.00	(34,382.00)	(96,113.00)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	17,423.00	(34,382.00)	(96,113.00)
ფინანსური საქმიანობა - გაცემული დივიდენდი	(532,488.00)		
კაპიტალი	(65,272.00)	(343,992.00)	(32,000.00)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(597,760.00)	(343,992.00)	(32,000.00)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(532,146.00)	(75,674.00)	721,846.00
სავალუტო კურსის ეფექტი	(154,533.00)	309,971.00	(989.00)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,162,188.00	927,891.00	207,034.00
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	475,509.00	1,162,188.00	927,891.00

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2021 ლარი	2020 ლარი	2019 ლარი	2018 ლარი
საკუთარი კაპიტალი პერიოდის დასაწყისში	2,134,241.00	2,983,951.00	2,574,696.00	-
საწესდებო კაპიტალი	-	-	-	441,264.00
გაუნაწილებელი მოგება	(66,369.00)	(537,428.00)	441,255.00	2,133,432.00
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(515,637.00)	(312,282.00)	(32,000.00)	-
საკუთარი კაპიტალი პერიოდის ბოლოს	1,552,235.00	2,134,241.00	2,983,951.00	2,574,696.00

წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სკაი გრუპ“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 24/01/2018). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, საბურთალოს რაიონი, ანდრია აფაქიძის ქ., N 5, სადარბაზო 2, სართული 13, ბინა N110. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი და შემდგომი უზრუნველყოფა, ასევე მომსახურებას პროგრამული უზრუნველყოფისა და ბიზნეს პროცესების მართვაში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წინამდებარე ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი დარიცხვის მეთოდი დაცულია.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას. ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შედგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში.

2.6. უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის;

კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება


შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რელიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების შედეგად, რომელიც ეხება მოგების გადასახადის განგარიშებისა და წარდგენის წესს, საწარმოების მოგების გადასახადი გადავადდა, სანამ არ მოხდება მოგების განაწილება. მოგების გადასახადის ახალი მოდელის მიხედვით, დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს შემდეგი განაცემების ფაქტობრივად განხორციელება:

ა) განაწილებული მოგება;

ბ) გაწეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის;



- გ) უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების გაწევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
 დ) ამ კოდექსით დადგენილ ზღვრულ ოდენობაზე მეტი ოდენობით გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

აღნიშნული ცვლილებების გამო არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები ჯგუფის აქტივებსა და ვალდებულებებში 2020 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, შესაბამისად, არ არსებობს გადავადებული მოგების გადასახადის არც აქტივი და არც ვალდებულება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ჯგუფი

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)

კომპიუტერული ტექნიკა	3
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
მობილური ტელეფონები	2
სხვა ძირითადი საშუალებები	5

კომპანიაში ძირითადი საშუალებების ინვენტარიზაცია ტარდება ყოველწლიურად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები ასახულია დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები


მომსახურების მიწოდება ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით.


საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს სავაჭრო ვალდებულებას პროცენტი არ ერიცხება, თუ არ ხდება სახელშეკრულებო პირობების დარღვევა.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.




 უინანსური დირექტორი: გიორგი კიკნაძე

კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი ფორმირდება საწესდებო კაპიტალისაგან, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის წესდებით, რომელშიც ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით და კომპანიის მიერ მიღებული მოგებით ან ზარალით. კომპანიიდან დივიდენდის გატანაზე გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს პერსონალის, იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

დასაქმებულთა ანაზღაურება

დასაქმებულთა ანაზღაურება მოიცავს გაცემულ ხელფასებსა და სხვა დამატებით ბენეფიტებს.

იჯარა

იჯარა მოიცავს საოფისე ფართის ქირას, რომელიც მიღებულია ჩვეულებრივი საოჯარო პირობებით და აღირიცხება საოპერაციო იჯარის პრინციპით.

არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები

არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები მოიცავს საპროცენტო შემოსავლებსა და სავალუტო კურსთაშორის ცვლილებით გამოწვეულ ეფექტს.


გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები3.1. ფული და ფულის გვერდულები:

31/12/2021

31/12/2020




ფინანსური დირექტორი: გიორგი კიკნაძე

ლარი საბანკო ანგარიშზე	57,894.70	8,425.43
ევრო საბანკო ანგარიშზე	145,601.69	270,666.93
დოლარი საბანკო ანგარიშზე	11,562.88	19,766.69

3.2. გაცემული მიმდინარე სესხი:

31/12/2021 31/12/2020

გაცემული სესხი

3.3. სავაჭრო მოთხოვნები

31/12/2021 31/12/2020

სავაჭრო მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან

203,333.00 557,043.00

2021 წლის ბოლოსათვის, კომპანიას საექვო ვალები არ აქვს.

3.4. გადახდილი ავანსები

31/12/2021 31/12/2020

რეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები
არარეზიდენტ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

73,106.42 6,835.94
211,840.97 81,728.56

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

31/12/2021 31/12/2020

წინსწრებით გადახდილი გადასახადი

23,859.00 156,028.35

3.6. სავაჭრო ვალდებულებები:

31/12/2021 31/12/2020

დავალიანება რეზიდენტი მომწოდებლების მიმართ
დავალიანება არარეზიდენტი მომწოდებლების მიმართ

19,496.46 14,213.46
44,477.71 64,475.40

3.7. საკუთარი კაპიტალი

31/12/2021 31/12/2020

კაპიტალი
გაუნაწილებელი მოგება

- 65,272.00
1,552,235.00 2,068,969.00

3.8. არასაოპერაციო ხარჯები და შემოსავლები

31/12/2021 31/12/2020

არასაოპერაციო შემოსავალი

23,593.00 167,100.98


არასაოპერაციო შემოსავალი ფორმირდება სახელმწიფო პირობის დარღვევის გამო მიღებული საპროცენტო შემოსავლით.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება



ფაქტ (ს/კ 405250026)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2021 წლის
29 სექტემბერს.



ფინანსური დირექტორი: გიორგი კირვალიძე